GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

05 Mayıs/მაისი 2026

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 704.5	10 296.5	7.5%	13.9 %	4.6 %

⚖️ 08 Mayıs 2026 tarihinde, GÜRTİAD ofisinde; Derneğimizin Yönetim Kurulu Üyesi, LegaLinc Lawyers kurucu ortağı Av. Mariana Sisvadze ile Hukuk Doktora Öğrencisi, Gürcistan Teknik Üniversitesi'nde hukuk felsefesi ve anayasa hukuku alanlarında davetli öğretim görevlisi Sn. Nikoloz Tsereteli'nin konuşmacı olarak yer alacağı, "İş Mevzuatı Hakkında" Gürcistan Kanunu'nda yapılan değişikliklere ilişkin bir seminer gerçekleştirilecektir.

Seminer kapsamında, yürürlükteki mevzuatın önemli başlıkları ele alınacak; katılımcılarımız merak ettikleri soruları yöneltme ve detaylı bilgi edinme imkânı bulacaktır.

Çalışma dili: Gürcüce / Türkçe

🕓 Saat: 17:00

Katılımınızı bekleriz!

⚖️ 2026 წლის 8 მაისს, გურთიადის ოფისში, ჩატარდება სემინარი აქტუალურ თემაზე „შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები, რომელსაც წარუძღვებიან ჩვენი ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი, LegaLinc Lawyers-ის დამფუძნებელი პარტნიორი, ადვოკატი მარიანა სისვაძე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი სამართლის ფილოსოფიასა და საკონტიტუციო სამართალში, სამართლის დოქტორანტი ბ-ნ ნიკოლოზ წერეთელი.

შეხვედრის ფარგლებში, განხილულ იქნება მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი საკითხები, მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა, დასვან მათთვის საინტერესო შეკითხვები და მიიღონ ამომწურავი პასუხები.

სამუშაო ენა: ქართული / თურქული

🕓 დრო: 17:00

ველით თქვენს დასწრებას!

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

Türkiye Cumhuriyeti'nin Gürcistan'daki Yeni Olağanüstü ve Tam Yetkili Büyükelçisi Sn. Mustafa Türker Arı, Görevine Başladı

საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მუსტაფა თურქერ არი საქმიანობას ოფიციალურად შეუდგა

2026 yılı 16 Nisan tarihinde, Gürcistan Dışişleri Bakanı Maka Bochorishvili, Büyükelçi Mustafa Türker Arı ile bir tanışma görüşmesi gerçekleştirdi.

Görüşme kapsamında taraflar, Gürcistan ile Türkiye Cumhuriyeti arasındaki dinamik ikili iş birliği gündemini ve stratejik ortaklığın daha da derinleştirilmesine yönelik perspektifleri ele aldı. Ayrıca bölgesel durum değerlendirildi; bölgesel kalkınma ve uzun vadeli refah açısından barış ve istikrarın desteklenmesinin önemi vurgulandı.

Büyükelçi ile ayrıca Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Tamar Ioseliani tarafından da bir tanışma görüşmesi gerçekleştirildi. Görüşmede iki ülke arasındaki ekonomik ilişkilerin daha da güçlendirilmesi ele alındı. Özellikle ulaştırma ve lojistik sektörlerinde iş birliğine özel önem verildi.

Bakan Yardımcısı Ioseliani, Büyükelçiye Gürcistan'daki büyük ölçekli altyapı projeleri hakkında bilgi verdi. Bu kapsamda Anaklia Derin Deniz Limanı, demiryolu modernizasyonu, Doğu-Batı Ana Karayolu, Bakü–Tiflis–Kars Demiryolu ve Orta Koridor'un geliştirilmesine yönelik çalışmalar ele alındı.

Ayrıca Gürcistan'daki Türk İş İnsanları Derneği Başkanı Oktay Öztürk, yönetim kurulu üyeleri ile birlikte Büyükelçi Mustafa Türker Arı'ya nezaket ziyaretinde bulunarak iki ülke arasındaki ticari ilişkilerin geliştirilmesi ve artırılmasına yönelik konuları ele aldı.

Gürtiad adına, Sayın Büyükelçiye, iki ülke arasındaki dostane ve iyi komşuluk ilişkilerinin geliştirilmesi ile stratejik ortaklığın daha da güçlendirilmesine katkı sağlayacak çalışmalarında üstün başarılar temenni ederiz.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

2026 წლის 16 აპრილს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაკა ბოჭორიშვილმა გაცნობითი შეხვედრა გამართა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ახლადდანიშნულ ელჩთან, მუსტაფა თურქერ არისთან.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის დინამიური დღის წესრიგი და სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივები.

საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ ვითარებას, აღინიშნა მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის აუცილებლობა, როგორც რეგიონის განვითარებისა და გრძელვადიანი კეთილდღეობის წინაპირობა.

ელჩთან, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა, აგრეთვე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, თამარ იოსელიანმა.

შეხვედრაზე, მხარეებმა, ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების კიდევ უფრო გამყარებაზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა თანამშრომლობაზე ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში.

თამარ იოსელიანმა ელჩს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობაზე მიაწოდა ინფორმაცია, მათ შორის იყო ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის, რკინიგზის მოდერნიზაციის, დასავლეთ - აღმოსავლეთის მაგისტრალის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტები. მხარეებმა ასევე განიხილეს თანამშრომლობა შუა დერეფნის განვითარების კუთხით.

ამას გარდა, საქართველოში თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ოქტაი ოზთურქი, მმართველი საბჭოს წევრები და გენერალური მდივანი, ბატონ ელჩს, მუსტაფა თურქერ არის ეწვივნენ და იმსჯელეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისა და გაზრდის საკითხებზე.

გურთიადის სახელით, ბატონ ელჩს ვუსურვებთ წარმატებულ საქმიანობას, ორ ქვეყანას შორის არსებული კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებისა და სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო გაძლიერების მიმართულებით.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

Antalya Diplomacy Forum 2026

Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze, Antalya Diplomasi Forumu kapsamında "Geleceği Şekillendirmek ve Riskleri Yönetmek" başlıklı liderler paneline katıldı.

Başbakan, konuşmasında dünyada artan jeopolitik gerilimlere dikkat çekerek; diyalog, diplomasi, ekonomik bağların güçlendirilmesi ve kurallara dayalı uluslararası düzenin önemini vurguladı. Kobakhidze'ye göre çatışmalar; ticaret yolları, enerji, ulaştırma sektörü ve ekonomik istikrar dâhil olmak üzere birçok alanı etkilemekte olup, bu sorunlara yönelik kalıcı çözümler bulunması gerekmektedir.

Kobakhidze ayrıca, Gürcistan'ın yük taşımacılığı, hizmetler, enerji ve dijital veri akışı açısından önemli bir transit merkez (hub) olduğunu belirterek, hükümetin bu rolü daha da güçlendirmek için azami çaba göstereceğini ifade etti.

Panelin moderatörlüğünü Türkiye Cumhuriyeti Milletvekili Mevlüt Çavuşoğlu üstlenirken; Kazakistan Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Kassym-Jomart Tokayev ve Kuzey Makedonya Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Gordana Siljanovska-Davkova da panelde yer aldı.

Forum kapsamında Başbakan Kobakhidze, Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan ile de bir araya geldi. Görüşmede Türkiye ile Gürcistan arasındaki stratejik ortaklık, çeşitli alanlardaki başarılı iş birliği ve bölgedeki güncel gelişmeler ele alındı.

Taraflar, ticari ve ekonomik iş birliğindeki olumlu ivmeye dikkat çekerken; Bakü–Tiflis–Kars Demiryolu, Bakü–Tiflis–Ceyhan Petrol Boru Hattı, Bakü–Tiflis–Erzurum Doğalgaz Boru Hattı ve Güney Gaz Koridoru'nun, hem bölgenin Avrupa ile bağlantısının güçlendirilmesi hem de Avrupa'nın enerji güvenliğinin pekiştirilmesi açısından stratejik önem taşıdığını vurguladı.

Ayrıca Kobakhidze, AGİT Genel Sekreteri Feridun Sinirlioğlu ile de görüştü. Görüşmede, özellikle artan jeopolitik zorluklar karşısında uluslararası bağlantıların ve çok taraflı iş birliğinin önemi vurgulandı.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

Başbakan Kobakhidze, Gürcistan'ın uluslararası ortaklarla açık ve yapıcı diyaloğa hazır olduğunu yineleyerek, ülkesinin AGİT nezdinde bağlı ve aktif bir katılımcı olmayı sürdüreceğini teyit etti.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, ანტალიის დიპლომატიის ფორუმის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო ლიდერთა პანელურ დისკუსიაში თემაზე - მომავლის განსაზღვრა და რისკების მართვა.

მთავრობის მეთაურმა, სიტყვით გამოსვლისას, მსოფლიოში არსებულ გეოპოლიტიკურ დაძაბულობაზე გაამახვილა ყურადღება და ხაზი გაუსვა დიალოგის, დიპლომატიის, ეკონომიკური კავშირების გაძლიერებისა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.
ირაკლი კობახიძის შეფასებით, კონფლიქტები გავლენას ახდენს ყველაფერზე - სავაჭრო მარშრუტებზე, ენერგეტიკაზე, ტრანსპორტის დარგზე, ეკონომიკურ სტაბილურობაზე და აუცილებელია არსებითი გამოსავლის პოვნა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო სატრანზიტო ჰაბია ტვირთების, სერვისების, ენერგიის, ციფრული მონაცემების სწრაფი მიწოდებისთვის და ხელისუფლება მაქსიმუმს გააკეთებს ქვეყნის ამ ფუნქციის გასაძლიერებლად.

დისკუსიაში, რომლის მოდერატორი იყო თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი მევლუთ ჩავუშოღლუ, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კასიმ-ჟომარტ ტოკაევი და ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის პრეზიდენტი გორდანა სილიანოვსკა-დავკოვა მონაწილეობდნენ.

ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა.

შეხვედრაზე, საქართველო-თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობა, სხვადასხვა სფეროში წარმატებული თანამშრომლობა და რეგიონში მიმდინარე მოვლენები განიხილეს.

შეხვედრისას, ყურადღება გამახვილდა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პოზიტიურ დინამიკაზე და ერთობლივი რეგიონული პროექტების როლზე. მათ შორის, აღინიშნა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის, ასევე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენისა და

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

სამხრეთის გაზის დერეფნის მნიშვნელობა, როგორც რეგიონისა და ევროპის დაკავშირების, ისე, ევროპის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით.

გარდა ამისა, ირაკლი კობახიძე ანტალიის დიპლომატიის ფორუმის ფარგლებში, ეუთო-ს გენერალურ მდივანს, ფერიდუნ სინირლიოღლუსაც შეხვდა.

შეხვედრაზე, ხაზი გაესვა საერთაშორისო ურთიერთკავშირებისა და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის მნიშვნელობას, განსაკუთრებით, მზარდი გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე. პრემიერმა, საერთაშორისო პარტნიორებთან ღია დიალოგისთვის მზადყოფნა კიდევ ერთხელ დაადასტურა და აღნიშნა, რომ საქართველო რჩება ეუთო-ს ერთგულ და აქტიურ მონაწილე ქვეყნად.

Tarım Sektörünü Desteklemek Amacıyla Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı Yeni bir Devlet Programı"nı duyurdu.

აგროსექტორის მხარდასაჭერად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ახალი სახელმწიფო პროგრამა წარადგინა

Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı, "Tarım Eş Finansman Devlet Programı"nı duyurdu.

Söz konusu program, tarım sektörünün desteklenmesine yönelik güncellenmiş ve çağdaş bir yaklaşımı esas almaktadır.

Son on yılda tarım sektörüne yönelik kurumsal, altyapısal, mali ve teknik destek mekanizmaları önemli ölçüde genişletilmiş; bu gelişmeler, üretim ve ihracat artışına somut olarak yansımıştır.

Bu çerçevede, Gürcistan'da tarım sektörünün gelişiminde yeni ve modernize edilmiş bir aşamaya geçilmektedir. Bakanlığın temel hedefi; sektörün potansiyelinin tam olarak değerlendirilmesi, rekabet gücünün artırılması ve küresel pazarlardaki konumunun güçlendirilmesidir.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K777 · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

“Tarım Eş Finansman Devlet Programı”, çiftçilerle yürütülen kapsamlı diyalog süreci ve uluslararası en iyi uygulamalar dikkate alınarak, ülkenin ihtiyaçları doğrultusunda hazırlanmıştır. Bu kapsamda, etkinlik ve sonuç odaklılık esasına dayanan yeni bir destek yaklaşımı ortaya konulmuştur. Programın temel amacı; tarım sektörünün gelişimini hızlandırmak, sektörel bilgi birikimini geliştirmek, ihracat artışını teşvik etmek ve gıda güvenliğini güçlendirmektir. Reform kapsamında ayrıca çiftçilerin desteklenmesi, yüksek kaliteli yerli üretimin artırılması, ithalatın ikame edilmesi ve ihracat potansiyelinin geliştirilmesi hedeflenmektedir.

Program, bütüncül, entegre, şeffaf ve sonuç odaklı bir destek sisteminin oluşturulmasını amaçlamaktadır. Yararlanıcıların belirlenmesi, önceden tanımlanmış nesnel ve şeffaf kriterler çerçevesinde gerçekleştirilecek olup, bu sayede sürecin adil ve etkin bir şekilde yürütülmesi sağlanacaktır.

Bunun yanı sıra program, öncelikli sektörlerin hedef odaklı olarak belirlenmesini öngörmekte; böylece kaynakların etkin ve verimli dağılımı ile azami faydanın sağlanması amaçlanmaktadır.

Program kapsamında modern araç ve mekanizmalar devreye alınacak, veri tabanları geliştirilecek ve izleme sistemi güçlendirilecektir. Bu sayede süreçlerin sürekli analizi, sonuçların düzenli değerlendirilmesi ve kamu kaynaklarının etkin kullanımı temin edilecektir.

Ayrıca, tarımsal faaliyetlerin ticarileştirilmesinin güçlendirilmesine özel önem verilmektedir. Bu yaklaşımın, sektörün sürdürülebilir gelişimine ve ülkenin gıda güvenliğinin güçlendirilmesine önemli katkı sağlaması beklenmektedir.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ახალი პროგრამა - „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“ წარადგინა, რომელიც აგროსექტორის მხარდაჭერის განახლებულ და თანამედროვე მიდგომას ეფუძნება.

ბოლო ათწლეულში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა აგროსექტორის მხარდაჭერის ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული, ფინანსური და ტექნიკური მექანიზმები, რაც უკვე ნათლად აისახა როგორც წარმოების, ისე, ექსპორტის ზრდაზე.

იწყება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი, მოდერნიზებული ეტაპი. სამინისტროს მიზანია საქართველოს აგროსექტორის სრული პოტენციალის ათვისება, მისი კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და გლობალურ ბაზრებზე პოზიციების განმტკიცება.

აგროთანადაფინანსების პროგრამა მომზადდა ფერმერებთან ფართო დიალოგისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ქვეყნის რეალურ

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
TURKISH AIRLINES
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
IŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

საჭიროებებზე დაყრდნობით. შედეგად, ჩამოყალიბდა სექტორის მხარდაჭერის ახალი ხედვა, რომელიც ეფუძნება ეფექტიანობასა და შედეგზე ორიენტირებულობას. პროგრამის მთავარი მიზანია აგროსექტორის განვითარების დაჩქარება, ცოდნის გაღრმავება, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა და სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერება. ამ რეფორმამ უნდა უზრუნველყოს ფერმერების გაძლიერება, მაღალხარისხიანი ქართული პროდუქციის წარმოება, იმპორტის ჩანაცვლება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

„აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“ მიზნად ისახავს ერთიანი, ინტეგრირებული, გამჭვირვალე და შედეგებზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბებას. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობასა და ეფექტიანობას.

გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს პრიორიტეტული სექტორების მიზნობრივ შერჩევას, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას და მაქსიმალურ შედეგს.

პროგრამის ფარგლებში, დაინერგება თანამედროვე ინსტრუმენტები და მექანიზმები, განვითარდება მონაცემთა ბაზები და გაძლიერდება მონიტორინგის სისტემა. ეს უზრუნველყოფს პროცესების უწყვეტ ანალიზს, შედეგების შეფასებას და საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან გამოყენებას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აგროსაქმიანობის კომერციალიზაციის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სექტორის მდგრად განვითარებას და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას.

მარიამ ქვრივიშვილის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში

G ürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Mariam Kvrivishvili, Çin'e resmî bir ziyaret gerçekleştirdi.

Ziyaret kapsamında, Çin'in kamu ve özel sektör temsilcileriyle üst düzey görüşmeler yapıldı. Bakan Kvrivishvili, özellikle Çin Ulusal Reform ve Kalkınma Komisyonu'nda gerçekleştirilen toplantıya dikkat çekerek, tarafların yatırım çekmek amacıyla Gürcistan ile Çin arasında bir diyalog mekanizması kurulması konusunda mutabakata vardığını ifade etti. Söz konusu mekanizmanın, Çin'den Gürcistan'a yönelik yatırımların artırılmasına katkı sağlaması beklenmektedir.

Bakan ayrıca China Eastern Airlines yöneticileriyle gerçekleştirilen görüşmeye de değindi. Bu görüşme sonucunda, 15 Temmuz 2026 tarihinden itibaren Şanghay–Tiflis hattında doğrudan uçuşların başlatılması kararlaştırıldı. Kvrivishvili, Şanghay hattının yanı sıra genel olarak Çin turizm pazarının Gürcistan açısından stratejik önem taşıdığını vurgulayarak, doğrudan hava bağlantısının hem turist sayısının artmasına hem de daha yüksek harcama gücüne sahip ziyaretçilerin ülkeye yönelmesine katkı sağlayacağını belirtti.

Ziyaret kapsamında ayrıca Çin'in önde gelen enerji ve otomotiv şirketleriyle de görüşmeler gerçekleştirildi. Bakan Kvrivishvili, bu temaslarda Gürcistan'ın yatırım fırsatlarının ele alındığını ve Çin'den daha fazla yatırım çekilmesi, yerel üretimin geliştirilmesi ile enerji sektörünün güçlendirilmesinin hedeflendiğini ifade etti.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი მარიამ ქვრივიშვი ლი ოფიციალური ვიზიტით ჩინეთში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში,გაიმართა უმაღლესი დონის შეხვედრები ჩინეთის სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. მარიამ ქვრივიშვილმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ჩინეთის ეროვნული რეფორმებისა და განვითარების კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ინვესტიციების მოსაზიდად ჩამოყალიბდება საქართველო-ჩინეთს შორის დიალოგის მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს ჩინეთიდან ინვესტიციების განხორციელებას.

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
TURKISH AIRLINES
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
ᲘᲛᲔᲜᲯᲘ İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

მინისტრმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა ჩინეთის ავიაკომპანია ,,China Eastern Airlines"-ის ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, 2026 წლის 15 ივლისიდან, შანხაი-თბილისის მიმართულებით პირდაპირი ავიამიმოსვლის დაწყების შესახებ. როგორც მარიამ ქვრივიშვილმა აღნიშნა, შანხაის მიმართულება, ისევე, როგორც ზოგადად ჩინეთის ტურისტული ბაზარი საქართველოსთვის სტრატეგიულია და პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა ხელს შეუწყობს ქვეყანაში როგორც ტურისტული ნაკადების ზრდას, ისე, მსყიდველუნარიანი ვიზიტორების ჩამოსვლას.

ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები ჩინეთის უმსხვილეს ენერგეტიკულ და ავტომობილების მწარმოებელ კომპანიებთან. როგორც მარიამ ქვრივიშვილმა აღნიშნა, შეხვედრებზე განიხილეს საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს ჩინეთიდან დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას, ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ენერგეტიკის სექტორის გაძლიერებას.

EBIT 2026

ბათუმში ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-17 საერთაშორისო გამოფენა „EBIT 2026" გაიმართა

Gürtiad üyesi Expo Batumi şirketinin organizasyonuyla, Batum'da turizm ve otel ekipmanları alanında 17. Uluslararası "EBIT 2026" Fuarı düzenlenmiştir. Söz konusu fuar, yaklaşık 90 yerli ve yabancı turizm şirketinin katılımıyla gerçekleştirilmiştir.

Her yıl aktif turizm sezonu öncesinde düzenlenen etkinlik, bölgenin turizm potansiyelinin uluslararası düzeyde tanıtılması ve sektör paydaşlarının bir araya getirilmesi açısından önemli bir platform niteliği taşımaktadır.

Fuarın açılışına Acara Özerk Cumhuriyeti Hükümet Başkanı Zurab Pataradze, Batum Belediye Başkanı Giorgi Tsintsadze ve Gürcistan'daki Türkiye Cumhuriyeti yeni Büyükelçisi Mustafa Türker Ari katılım sağlamıştır.

Etkinlikte ayrıca Türkiye'den gelen seçkin davetliler ve resmî heyet temsilcileri de yer almıştır.

გურთიადის წევრი კომპანიის „ექსპო ბათუმი“ ორგანიზებით, ბათუმში ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-17 საერთაშორისო გამოფენა „EBIT 2026“ გაიმართა. ღონისძიებაში, 90-მდე ადგილობრივმა და საერთაშორისო ტურისტულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

გამოფენა, ყოველწლიურად, აქტიური ტურიტული სეზონის დაწყებამდე ტარდება და რეგიონში ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს.

ღონისძიებას გახსნას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ, ზურაბ პატარაძემ, ბათუმის მერმა, გიორგი ცინცაძემ და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ახლადდანიშნულმა ელჩმა, მუსტაფა თურქერ არიმ, აგრეთვე, დაესწრნენ საპატიო სტუმრები და ოფიციოზის წარმომადგენლები თურქეთიდან.

Moka United X Microbank Crystal

Finans sektöründe dikkat çekici bir gelişme: Microbank Crystal ile GÜRTİAD üyesi Moka United Georgia arasında kurulan ortaklık, işletmeler için yeni fırsatlar ve perspektifler sunuyor.

Bu iş birliği, finansal kurumlar ile fintech şirketlerinin daha entegre, hızlı ve müşteri odaklı çözümler geliştirmek amacıyla bilgi birikimlerini ve kaynaklarını birleştirdiği modern fintech yaklaşımının güçlü bir örneğini teşkil etmektedir.

Crystal Microbank, Gürcistan'ın önde gelen finansal kuruluşlarından biri olup, 600 milyon GEL'lik kredi portföyü ile ülke genelinde 100.000'den fazla bireysel müşteriye hizmet sunmaktadır.

Uluslararası bir iş grubunun parçası olarak dünyanın 6 ülkesinde faaliyet gösteren Moka United Georgia ise, Gürcistan Merkez Bankası tarafından lisanslanmış bir fintech şirketidir. Şirketin geliştirdiği teknolojik platformlar, özellikle ödeme süreçlerinin dijitalleşmesi ve esnekliğinin artırılması yoluyla iş yapma süreçlerine önemli katkılar sağlamaktadır.

საფინანსო სექტორის მნიშვნელოვანი სიახლე - Microbank Crystal-ისა და გურთიადის წევრი კომპანია ,,Moka United Georgia"-ს პარტნიორობა, რომელიც ბიზნესებისთვის ახალ პერსპექტივებს ქმნის.

აღნიშნული თანამშრომლობა ასახავს თანამედროვე ფინტექ მიდგომას, სადაც ფინანსური ინსტიტუტები და ფინტექ კომპანიები აერთიანებენ რესურსებსა და გამოცდილებას, რათა შექმნან უფრო ინტეგრირებული და მომხმარებელზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები.

,,Crystal Microbank" ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია საქართველოში, რომელიც 600 მილიონი ლარის საკრედიტო პორტფელით ქვეყნის მასშტაბით 100 000 - ზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

„Moka United Georgia", საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ფინტექ კომპანიაა და როგორც საერთაშორისო ბიზნეს ჯგუფის ნაწილი, ოპერირებს მსოფლიოს 6 ქვეყანაში. მისი ტექნოლოგიური პლატფორმები ორიენტირებულია გადახდების პროცესის დიჯიტალიზაციასა და მოქნილობაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმოებისთვის.

Üzüm Bağlarının Ticari Amaçla Kurulması Artık İzin Gerektirecek
ვენახის სამეწარმეო მიზნით გაშენებას ნებართვა დასჭირდება

"Üzüm ve Şarap Hakkında Kanun"da yapılan değişiklikler kapsamında, ticari amaçla bağ tesisine ilişkin usul ve esaslar yeniden düzenlenmiştir.

Yapılan düzenlemeye göre, 1 Mayıs 2026 tarihinden itibaren ticari amaçlı bağ tesisi, yalnızca Ulusal Şarap Ajansı'nın önceden alınacak onayı ile gerçekleştirilebilecektir.

Söz konusu onay alınmaksızın bağ tesisi gerçekleştiren gerçek ve tüzel kişiler, elde ettikleri üzüm ürünlerini veya ürettikleri şarapları ticari amaçla pazarlayamayacak ve satamayacaktır.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · ITBANKI İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

Bu düzenleme, yalnızca ticari amaçla bağ tesisi gerçekleştiren gerçek ve tüzel kişileri kapsamakta olup, kişisel kullanım amacıyla bağ tesis eden bireyler kapsam dışında tutulmaktadır.

Ulusal Şarap Ajansı tarafından bağ tesisi için verilen onay işlemleri ücretsiz olarak yürütülmektedir.

„ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სამეწარმეო ვენახების გაშენებასთან დაკავშირებული წესები შეიცვალა.

კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, 1-ლი მაისის შემდგომ პერიოდში კომერციული მიზნებისთვის ვენახის გაშენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ღვინის ეროვნული სააგენტოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პირი, რომელიც ვენახს თვითნებურად გააშენებს, ვერ შეძლებს მიღებული ყურძნის ან წარმოებული ღვინის კომერციულ რეალიზაციას.

აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ვენახის გაშენებას სამეწარმეო საქმიანობისთვის გეგმავენ და არ ეხება მათ, ვინც ვენახს პირადი მოხმარებისთვის აშენებს.

ცნობისთვის, ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ვენახის გაშენებაზე თანხმობა უფასოდ გაიცემა.

Mart Ayında Gürcistan Ekonomisi %10,7 Büyüme Gösterdi

მარტში საქართველოს ეკონომიკა 10.7%-ით გაიზარდა

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
TURKISH AIRLINES
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
ᲘᲛᲔᲜᲯᲘ İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

2026 yılı Mart ayında, bir önceki yılın aynı ayına göre reel gayri safi yurt içi hasıla (GSYH) %10,7 oranında artarken, yılın ilk çeyreğinde ortalama reel büyüme %9,1 olarak gerçekleşti.

Mart ayında, yıllık bazda büyümeye en büyük katkıyı; imalat sanayi, bilgi ve iletişim, mesleki, bilimsel ve teknik faaliyetler, madencilik, inşaat ile ulaştırma ve depolama sektörleri sağladı.

Öte yandan, idari ve destek hizmet faaliyetleri ile konaklama ve yiyecek hizmetleri (otel ve restoran) sektörlerinde ise daralma kaydedildi.

2026 წლის მარტში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 10.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 1-ლი კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 9.1 პროცენტით განისაზღვრა.

2026 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: დამამუშავებელი მრეწველობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, სამთომოპოვებითი მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება.

ხოლო კლების ტენდენცია დაფიქსირდა ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების, ასევე სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში.

Plastik Şişelerde İçecek Üretimi, İthalatı ve Piyasaya Arzının Düzenlenmesinin Yürürlüğe Girmesi 4 Yıl Süreyle, 1 Şubat 2031 Tarihine Kadar Ertelendi

პლასტმასის ბოთლებში სასმლის წარმოების, იმპორტისა და ბაზარზე განთავსების რეგულაციის ამოქმედება 4 წლით, 2031 წლის 1 თებერვლამდე გადაიდო

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
TURKISH AIRLINES
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management